ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

გიორგი არობელიძე

პრო-დასავლური არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ნეოლიბერალიზაციის პროცესში 2003-2012 საქართველოში

სამაგისტრო პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

კონსტანტინე ერისთავი,

სამართლის თეორიის დოქტორი, თსუ-ის მოწვეული ლექტორი

თბილისი, 2018

სარჩევი

შესავალი 7

თემის აქტუალობა 7

კვლევის მიზანი 9

ამოცანები: 9

საკვლევი კითხვა 9

ჰიპოთეზა 10

ცვლადების ინდიკატორი 10

თეორიული ჩარჩო 10

ლიტერატურის მიმოხილვა 11

მეთოდოლოგია 19

კვლევის ანალიზი 22

ნეოლიბერალური მოდელის წარმოების ისტორია 22

არასამთავრობო ორგანიზაციების პრიორიტეტები 24

შრომის კოდექსი 25

სამუშაოზე მიღებისას წარსადგენი დოკუმენტები 27

დაცული იქნება თუ არა ქალთა შრომითი უფლებები? 27

წინასწარი გაფრთხილება სამსახურიდან განთავისულფების შემთხვევაში 28

ზეგანაკვეთური სამუშაო 29

არასრულწლოვანთა შრომა 29

პრივატიზაცია 31

დევნილები 33

დასკვნა 36

გამოყენებული ლიტერატურა 38

ანოტაცია

საქართველოში ნეოლიბერალიზაციის პროცესი შეგვიძლია ორ ეტაპად დავყოთ, პირველი ეტაპი მოიცავს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ვარდების რევოლუციამდე პერიოდს, როდესაც სავალუტო ფონდისგან მხარდაჭერილმა მთავრობამ დაიწყო პრივატიზაციის პროცესი. ამ პერიოდში ათასობით ქარხანა დაიშალა და ჯართად გაიყიდა. მეორე ეტაპის ათვლის სათავედ კი შეგვიძლია ვარდების რევოლუცია მივიჩნიოთ. რა პროცესები დაიწყო რევოლუციის შემდეგ საქართველოში, რა ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციები მოხდა ჩვენ ირგვლივ, განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია ამ პროცესში ადგილობრივი დონორების/ორგანიზაციებისა როლი. არასამთავრობო ორგანიზაციები წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა იმგვარ ინსტიტუციად, რომელსაც გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ხშირ შემთხვევაში, ისინი ქმნიან სხვადასხვა დისკურსს, რომლის ირგვლივაც მიმდინარეობს დისკუსიები ქართულ საზოგადოებაში. მათი საქმნიანობა ფართოდ არის გაშუქებული მედიის მიერ, რაც ასევე ხელს უწყობს მათი გავლენის გაზრდას. შესაბამისად, ჩატარდა კვლევა: "პრო-დასავლური არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ნეოლიბერალიზაციის პროცესში 2003-2012 საქართველოში". კვლევის მიზანი იყო, დადგენა იმისა, თუ რა როლი ითამაშა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ქართული სახელმწიფოს ნეოლიბერალიზაციის პროცესში 2003 წლიდან 2012 წლამდე. მიზნის შესაბამისად, გამოიყო შემდეგი ამოცანები: 1) გამორკვევა იმისა, თუ პოზიციები ჰქონდათ წამყვან არასამთავრობო ორგანიზაციებს, დერეგულირებისა და პრივატიზაციის პოლიტიკაზე, რომელიც პოსტრევოლუციურ პერიოდში იწყება; 2) გამორკვევა იმისა, თუ რა როლი ითამაშა სამოქალაქო სექტორმა ინდივიდუალიზმისა და პირადი პასუხისმგებლობის (წარმატება/წარუმატებლობის შემთხვევაში) იდეის დამკვიდრებაში; 3) როგორ რეაგირებდა სამოქალაქო სექტორი სოციალური დაცვის გარეშე დარჩენილ,

სიღარებისთვის განწირული მოქალაქეების პროტესტზე (მათი განცხადებები, წარმოებული კამპანია, თუ გამოხმაურებები). მოცემული კვლევის ჰიპოთეზა იყო შემდეგი: პროდასავლური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოებული პოლიტიკა თანხვედრაში მოდიოდა ხელისუფლების მიერ არჩეულ ნეოლიბერალურ კურსთან. ნაშრომის შესასწავლად გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ კი კონტენტ ანალიზი. კვლევამ ცხადყო, რომ 2003 წლიდან 2012 წლამდე არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილის როლი საკმაოდ მაღალი იყო ნეოლიბერალიზაციის პროცესში. ეს კარგად ჩანდა მათ მიერ დაფინანსებულ პროექტებში, სადაც თითქმის არასდროს ხდებოდა სოციალურ თემატიკის პრიორიტეტად გამოყოფა, ან მისი დაფინანსება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ჩვენ თითქმის ვერ ვხვდებით ისეთ საკითხებზე გაცხადებებს, როგორიცაა მასობრივი პრივატიზაცია, გარემოს დაბინძურება, შრომის კოდექსი და ა.შ. ისინი მასობრივად ახდენდნე ისეთი საკითხები უგულებელყოფას, როგორიცაა სიღარიბე, შრომითი საკითხები და ა.შ და კონცერტრირდებოდნენ სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორობის სხვადასხვა საკითხზე.

Annotation

The process of neoliberalization in Georgia can be divided into two stages, the first stage involves the period from Georgian independence to the period of Rose Revolution, when the government funded by International Monetary Fund started privatization process. During this period thousands of factories were disbanded and sold as scrap metal. The second stage of neoliberatizarion can be considered the Rose Revolution. What processes started after the revolution in Georgia, what economic and social transformation took place around us, and especially the role of local donors / organizations in this process. NGOs have been formed over the years that can influence on decision-making process. In many cases, they create different discourses around which discussions are going on in Georgian society. Their work is broadly covered by the media, which also promotes their influence. Consequently, research was conducted to study “The role of pro-Western NGOs in neoliberalization process in Georgia in 2003-2012". Research aimed to determine the role of NGOs in the process of neoliberalization of the Georgian State from 2003 to 2012. According to this target, three main tasks of the study were formed: 1) To determine if the leading nongovernmental organizations have the positions on deregulation and privatization policy that begins in post-revolutionary times; 2) The role of civil society in the establishment of the idea of individual and personal responsibility (in case of success / failure); 3) How did the civil sector react to the protest of civilians who were left without social protection and were forsaken to poverty (their statements, the campaign or the responses)?. The hypothesis of this research was the following: politics produced by pro-Western NGOs came in line with the neoliberal course chosen by the government. I used the Qualitative Research Method to analyze, in particular the Content Analysis. The study showed that between 2003 and 2012 the role of a large number of NGOs was quite high in the neoliberalization process. This was well seen in projects funded by them, where almost never was allocated social priorities or financing them. The most important thing is that almost couldn't be found NGOs statments about such issues as mass privatization, environmental

pollution, Labor Code, etc. They have ignored such issues as poverty, labor issues, and so forth. Their work is mostly focused on civil and political equality.

შესავალი

ისეთი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ ფენომენის კვლევას, როგორიც ნეოლიბერალიზმია, არც თუ მცირე ადგილი უჭირავს აკადემიურ სივრცეში. ნეოლიბერალიზმი მეინსტირუმლი 1970 წლებში ხდება, როდესაც კეინსიანური პოლიტიკა რღვევას იწყებს.

„ნეოლიბერალიზმი იმდენად ყოვლისმომცველი გახდა, რომ ჩვენ იშვიათად ვაღიარებთ მას, როგორც იდეოლოგიას. ჩვენ უფრო იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ ეს უტოპიური რწმენა ნეიტრალურ ძალას ეხება, ერთგვარ ბიოლოგიურ კანონს, ისეთს, როგორიცაა დარვინის ევოლუციის თეორია. სინამდვილეში, ეს ფილოსოფია წარმოიქმნა, როგორც გააზრებული მცდელობა ადამიანური ცხოვრების გარდასაქმნელად და ძალაუფლების წერტილების შესაცვლელად.

ნეოლიბერალიზმი უყურებს კონკურენციას, როგორც ადამიანური ურთიერთობების განმსაზღვრელ თვისებას. ის ხელახლა განსაზღვრავს მოქალაქეებს მომხმარებლებად, რომელთა დემოკრატიული არჩევანი ყველაზე უკეთ გამოიხატება ყიდვითა და გაყიდვით - პროცესით, რომელიც აჯილდოებს იმათ, ვინც ამას იმსახურებს და სჯის არაეფექტურობას. ნეოლიბერალიზმი ამტკიცებს, რომ „ბაზარს“ მოაქვს სიკეთეები, რომელსაც ვერასდროს მოიტანს დაგეგმარება.”(მონბიო, 2016)

ვფიქრობ, გლობალურთან ერთად მნიშვნელოვანია ადგილობრივი კონტექსტის ანალიზი და კვლევა. თუ როგორ მიმდინარეობდა ნეოლიბერალიზაციის პროცესი საქართველოში, რომელიც განსაკუთრებით ხილული პოსტრევოლუციურ პერიოდში გახდა. ნაშრომი შეეცდება უპასუხოს კითხვას, თუ რა როლი ჰქონდა 2003-2012 წლებში დასავლეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს აღნიშნულ პროცესში.

თემის აქტუალობა

საქართველოს ნეოლიბერალიზაცია შეგვიძლია ორ ეტაპად დავყოთ, პირველი ეტაპი მოიცავს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ვარდების რევოლუციამდე პერიოდს, როდესაც სავალუტო ფონდისგან მხარდაჭერილმა მთავრობამ დაიწყო პრივატიზაციის პროცესი. ამ პერიოდში ათასობით ქარხანა დაიშალა და ჯართად გაიყიდა. მეორე ეტაპის ათვლის სათავედ კი შეგვიძლია ვარდების რევოლუცია მივიჩნიოთ, ეს ეტაპი დღემდე გრძელდება.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ ხელისუფლებაში მოსული გუნდი იწყებს დერეგულაციის პოლიტიკის გატარებას, იწყება სახელმწიფოს ბალანსზე არსებული სხვადასხვა ობიექტის პრივატიზება. “ყველაფერს გავყიდით, სინდისის გარდა”- ეკონომიკის მაშინდელი მინისტრის, კახა ბენდუქიძის სიტყვები ალბათ ყველაზე უკეთ გადმოსცემს სახელმწიფო პოლიტიკის არსს.

პარალელურად, მკვიდრდება ინდივიდუალისტური პარადიგმა. ადამიანმა უნდა შეძლოს და ფეხი აუწყოს ახალ დროებას, ის თუ ამას ვერ მოახერხებს, ეს იქნება მისი ინდივიდუალური პასუხისმგებლობა.

ვინაიდან, საქართველოს ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი პერიოდი (პოსტრევოლუციანდელი პერიოდი) არ არის სათანადოდ გამოკვლეული, წარსულის გააზრება მეტად პრობლემური ხდება. რა პროცესები დაიწყო რევოლუციის შემდეგ საქართველოში, რა ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციები მოხდა ჩვენ ირგვლივ, განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია ამ პროცესში ადგილობრივი დონორების/ორგანიზაციებისა როლი. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ამ კითხვებზე აკადემიური, დასაბუთებული პასუხის გაცემა.

არასამთავრობო ორგანიზაციები წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა იმგვარ ინსტიტუციად, რომელსაც გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ხშირ შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციები ქმნიან სხვადასხვა დისკურსს, რომლის ირგვლივაც მიმდინარეობს დისკუსიები ქართულ საზოგადოებაში. მათი საქმნიანობა ფართოდ არის გაშუქებული მედიის მიერ, რაც ასევე ხელს უწყობს მათი გავლენის გაზრდას.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, დაადგინოს, თუ რა როლი ითამაშა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ქართული სახელმწიფოს ნეოლიბერალიზაციის პროცესში 2003 წლიდან 2012 წლამდე.

ამოცანები:

დასახული მიზნის მისაღწევად გამოვყოფ შემდეგ ამოცანებს:

1. გამორკვევა იმისა, თუ პოზიციები ჰქონდათ წამყვან არასამთავრობო ორგანიზაციებს, დერეგულირებისა და პრივატიზაციის პოლიტიკაზე, რომელიც პოსტრევოლუციურ პერიოდში იწყება;
2. გამორკვევა იმისა, თუ რა როლი ითამაშა სამოქალაქო სექტორმა ინდივიდუალიზმისა და პირადი პასუხისმგებლობის (წარმატება/წარუმატებლობის შემთხვევაში) იდეის დამკვიდრებაში;
3. როგორ რეაგირებდა სამოქალაქო სექტორი სოციალური დაცვის გარეშე დარჩენილ, სიღარებისთვის განწირული მოქალაქეების პროტესტზე (მათი განცხადებები, წარმოებული კამპანია, თუ გამოხმაურებები);

საკვლევი კითხვა

რა როლი ითამაშა არასამთავრობო ორგანიზაციებმა 2003 წლიდან დაწყებული 2012 წლამდე ე.წ. ახალი ტალღის ნეოლიბერალიზაციის პროცესში.

ჰიპოთეზა

პროდასავლური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოებული პოლიტიკა თანხვედრაში მოდიოდა ხელისუფლების მიერ არჩეულ ნეოლიბერალურ კურსთან.

დამოუკიდებელი ცვლადი – პროდასავლური არასამთავრობო ორგანიზაციები.

დამოკიდებული ცვლადი – ნეოლიბერალური კურსი

ცვლადების ინდიკატორი

მოცემული კვლევის ფარგლებში, ჩამოვაყალიბე ჰიპოთეზა. ჰიპოთეზაში გამოყოფილია დამოუკიდებელი ცვლადი - სამოქალაქო საზოგადოება და დამოკიდებული ცვლადი, ნეოლიბერალური პოლიტიკა. დამოუკიდებელ ცვლადის, სამოქალაქო საზოგადოების და დამოკიდებული ცვლადის, ნეოლიბერალური პოლიტიკის კავშირის დასადგენად, შევისწავლი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებებს, ინიციატივებსა და დღის წესრიგს.

თეორიული ჩარჩო

თეორიულ ჩარჩოდ გამოვიყენებ ქეროლ ჰარინგტონის (2013) "governmentality"-ის თეორიას. “Governmentality” ჰარინგტონის (2013) მიხედვით, გულისხმობს იმგვარი სუბიექტის წარმოებას რომელიც ერგება მოცემულ სისტემას და არის ჰეგემონური დისკურსის მატარებელი. ჰარინგტონის თეორიის თანახმად, ამგვარი სუბიექტის წარმოებაში პოლიტიკური ელიტის გარდა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა ინსტიტუტები, მათ შორის კი ის გამოარჩევს არასამთავრობო ორგანიზაციებს,

რომელთა ძალისხმევა განვითარებად ქვეყნებში მიმართულია ე.წ. ნეოლიბერალური სუბიექტურობის საწარმოებლად.

თანამედროვე გლობალური ნეოკოლონიური მმართველობა მუშაობს ე.წ დემოკრატიზაციისა და ნეოლიბერალური სახელმწიფოების ფორმირების კონტექსტში, სადაც ერთი მხრივ, არის მისწრაფება, რომ მოხდეს განვითარებადი ქვეყნების რესპონსიბილიზაცია (governmentality-ს შესახებ ლიტერატურაში გამოყენებული ცნება, რომელიც აღნიშნავს ნეოლიბერალურ პოლიტიკებსა და დისკურსს, სადაც პასუხისმგებლობა ინდივიდებს ენკისრებათ იმაზე, რასაც ადრე კეთილდღეობის სახელმწიფო უზრუნველყოფდა) და მეორე მხრივ, განვითარებაში წამყვანი როლის მქონეს მოიაზრება არა სახელმწიფოები, არამედ ბიზნესი და არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ პირობებში გლობალური govermentality საერთაშორისო ორგანიზაციებს და დონორებს არასამთავრობო ორგანიზაციების დასაფინანსებლად მიმართავს, რაც განვითარებად/მესამე სამყაროში NGO-ების ბუმს იწვევს.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნეოლიბერალიზმის, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური მიმდინარეობის შესახებ, არაერთი ავტორი საუბრობს და აანალიზებს მის სოციალურ ასპექტებს. დეივიდ ჰარვის ნაშრომი “ნეოლიბერალიზმის მოკლე ისტორია” ვფიქრობ, კარგად აღწერს ამ მოვლენის არსს. მეორეს მხრივ, ნეოლიბერალიზაციის პროცესში სხვადასხვა აქტორების მნიშვნელობაზე და გავლენაზე წერს ნენსი ფრეიზერი, მიშელ ფუკო, ხოლო მაგალითად ჯეიმს პეტრასი და ჰარინგტონი კი პირდაპირ აკავშირებს ნეოლიბერალიზაციის პროცესსა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას. მათი აზრით, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მთავარი მიზანი, რომლებიც დასავლეთიდან ფინანსდებიან, სწორედ ნეოლიბერალიზაციის პროცესის ხელშეწყობაა, რასაც ისინი ე.წ. პროგრესული სუბიექტების წარმოებით აკეთებენ. მიმოვიხილავ ერთის მხრივ

ნეოლიბერალურ სახელმწიფოს, შემდეგ კი იმ ავტორებს, რომლებიც ამ პროცესებში არასამთავრობო ორგანიზაციების სამსახურს მნიშვნელოვნად მიიჩნევენ.

დევიდ ჰარვი ნაშრომში , „ნეოლიბერალიზმის მოკლე ისტორია“, (ჰარვი, 2017) ერთ-ერთ თავში - „ნეოლიბერალური სახელმწიფო“, განიხილავს ნეოლიბერალური სახელმწიფოს თეორიულ შინაარსს. ეს არის სისტემა, რომელიც ემხრობა პირადი საკუთრების მყარ უფლებას, სადაც ინდივიდუალიზმი, ინდივიდუალური უფლებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იგი ასევე უნდა ეყრდნობა კანონის უზენაესობას, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ბაზრისა და თავისუფალი ვაჭრობის იდეის განმახორციელებელი ინსტიტუტების ფუნქციონირებას. არსებული განსაზღვრებები თავისმხრივ უზრუნველყოფს ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპს და მის გარანტად გვევლინება. თავისუფალ ბაზარზე სამართლებრივი მხარე უზრუნველყოფილია და ურთიერთობები დაფუძნებულია თავისუფალ მოლაპარაკებებზე იურიდიულად განსაზღვრულ პირებს შორის კონკრეტული საკონტრაქტო ვალდებულებებით. გაწერილი და ჩამოყალიბებული შეთანხმებები ხელშეუხებელია, ხოლო გამომხატვისა და არჩევანის თავისუფლებები დაცული. ეს ქმნის გარკვეულ წინარე ბაზისს, რომლითაც უნდა ხასიათდებოდეს ნეოლიბერალური სახელმწიფო თეორიაში.

ამ სახელმწიფოში სიღარიბის აღმოფხვრის გზა, სწორედ თავისუფალი ბაზარია. წარმოების უწყვეტი ზრდა კი ქმნის უკლებლივ ყველასთვის ცხოვრების მაღალ დონეს. ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში უკავშირდება გლობალურ ბაზარს, სადაც სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობები მიმდინარეობს. (ჰარვი, 2017)

მიშელ ფუკოს თეორიის მიხედვით ძალაუფლებას არ აქვს მხოლოდ ნეგატიური მნიშვნელობა, რომელიც ჩაგვრასა და აკრძალვაშია გამოხატული. ძალაუფლება პროდუქტიულია, ის აწარმოებს იდეებს, ინსტიტუტებს და ჩვენს ყოველდღიურობას. მისი ეფექტები არა მხოლოდ რეპრესიის, არამედ გარკვეული ქმედებებისა და აზროვნების წესის წახალისების გზით ვრცელდება.

„ჩვენ სამუდამოდ უნდა შევწყვიტოთ ძალაუფლების ნეგატიური ტერმინებით აღწერა თითქოს ის გამორიცხავს,არეპრესირებს, აცენზურებს და ნიღბავს, სინამდვილეში

ძალაუფლება აწარმოებს, ის აწარმოებს რეალობას, ობიექტების სფეროს და ჭეშმარიტების დაფუძნების რიტუალებს.“(Foucault, 1991)

ფუკოს მეორე მნიშვნელოვანი კონცეპტი, Governmentality-ია, უხეშად რომ ვთქვათ,ეს არის ისეთი მოქალაქეების წარმოება, რომლებიც საუკეთესოდ ასრულებენ ძალაუფლების კონკრეტული მოდელის პოლიტიკას. Governmentality – არის ორგანიზებული პრაქტიკები, მენტალობები, პოლიტიკური რაციონალობები და ტექნიკები, რომლის დახმარებითაც სუბიექტები იმართებიან და მართავენ საკუთარ თავს. საბოლოოდ, ამ ტექნიკების გავლით,ისინი ასრულებენ გარკვეულ როლს საზოგადოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოდელში. ფუკოსთვის მმართველობის იდეა, გულისხმობდა არა მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებას, არამედ იმას თუ როგორ მართავენ ადამიანები საკუთარ თავს, ზრდიან შვილებს და ა.შ. Governmentality ამგვარი ურთიერთმიმართებების ფორმებს და ცენტრალური ინსტიტუტებისათვის ხელის შემწყობ სოციალურ ქსელებს აწარმოებს.

მართვის ამგვარი გაგება ზევიდან ქვევით მომავალი ძალაუფლების იდეის კრიტიკულ გადააზრებას და სუბიექტის ირგვლივ არსებულ ძალაუფლებრივ ქსელებზე კონცენტრირებას გულისხმობს. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის თუ როგორ მუშაობენ ცენტრალური ინსტიტუტები, არამედ როგორ მოქალაქეებს საჭიროებენ ისინი, რაზე პასუხად ფუძნდებიან და რა წინააღმდეგობას აწყდებიან საკუთარი ინტერესების გატარებისას. ინსტიტუტებისა და ამ ქსელების ურთიერთობა სტრატეგიული წინააღმდეგობისა და მუდმივი დაძაბულობის სურათს ქმნის. ესეში ნეოლიბერალური სუბიექტურობის შესახებ, ჯეისონ რიდი წერს, რომ ფუკოსთვის ნეოლიბერალიზმის გაჩენა გულისხმობდა არა უბრალოდ იდეოლოგიის შიგნით მომხდარ ტრანსფორმაციას, ანუ ერთი იდეოლოგიის ჩანაცვლებას მეორე იდეოლოგიით, არამედ, მთლიანად იდეოლოგიის იდეის, მისი განხორციელების პირობებისა და ეფექტების ტრანსფორმაციას (Read, 2009).

კლასიკური ლიბერალიზმისგან განსხვავებით, რომელიც ინსტიტუციურ დონეზე ბაზრის სახელმწიფოსაგან ავტონომიურობის იდეას, ხოლო სუბიექტურ დონეზე გაცვლის პრინციპს ეფუძნებოდა, ნეოლიბერალიზმი კონკურენციას და კაპიტალიზმის,

ანუ ბაზრის „გარე“ სივრცის გაუქმებას ეფუძნება. რაც გულისხმობს იმას, რომ საზოგადოება განხილულია როგორც ბაზარი, სადაც ყველა კონკურენციაშია ყველასთან, ხოლო მუშის ფუნქცია არა მხოლოდ სამუშაო საათებში პროდუქტის წარმოება, არამედ საკუთარ თავში მუდმივი ინვესტიციის განხორციელებაა. კონკურენცია მოქმედებს არა მხოლოდ სამუშაო ადგილზე და ბაზარზე ვაჭრობისას, არამედ ყოველდღიურობაში, სადაც საკუთარ თავზე, როგორც „ადამიანურ კაპიტალზე“ ზრუნვა მიმდინარეობს. სუბიექტურობის ამგვარი მოდელისთვის ყველაფერი გარეგნობითა და ცოდნით დაწყებული და ურთიერთობის ფორმებით დამთავრებულ კომოდიფიცირებულ, ანუ გასაქონლებულ სახეს იღებს, რომლის ფუნქციაც სოციალური კონკურენცია და მოგება ხდება. ნეოლიბერალიზმი არა უბრალოდ კრძალავს, ან იძლევა გარკვეულ უფლებებს, არამედ მოქმედებს ადამიანის არსებობის ფუნდამენტურ მოდუსებზე, აწარმოებს გარკვეულ მიმართებას საკუთარ თავსა და საზოგადოებასთან და სუბიექტურობის საბაზრო კონკურენციის პრინციპებისთვის დაქვემდებარებას ცდილობს. საკუთარი თავის ამგვარი აღქმა საზოგადოების ატომიზაციასა და გათითოკაცებას, კოლექტიური პასუხისმგებლობისა და სოლიდარობის უკანა პლანზე გადაწევას გულისხმობს, რაც ძალაუფლების ლეგალურ, ინსტიტუციურ და მიკრო ქსელების დონეებზეა გამოხატული. ჩვენს შემთხვევაში ყველაფერი ეკონომიკის და შრომითი ურთიერთობების რეგულირებით დაწყებული და ქალაქის დაგეგმარებით დამთავრებული კაპიტალის მქონე ინდივიდასთვის მიცემულ უსასრულო თავისუფლებასა და კოლექტიური სოციალური პასუხისმგებლობის დეფიციტზე მეტყველებს.

„სამაგალითო ნეოლიბერალი მოქალაქე არის ის, ვინც აწარმოებს საკუთარი მოქმედების სტრატეგიებს სხვადასხვა პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურშესაძლებლობებს შორის და არა ის, ვინც ცდილობს ამ შესაძლებლობების შეცვლასა და ორგანიზებას.“(Brown, 2005)

ქეროლ ჰარინგტონი (2013) "governmentality"-ის თეორიის მიხედვით აკავშირებს სუბიერქტის წარმოებას არასამთავრობო ორგანიზაციებს. მისი მოსაზრებით, არასამთავრობო ორგანიზაცია (NGO) თანამედროვე გლობალური ნეოკოლონიური

მმართველობისთვის მუშაობს. დემოკრატიზაციისა და ნეოლიბერალური სახელმწიფოების ფორმირების კონტექსტში, სადაც ერთი მხრივ, არის მისწრაფება, რომ მოხდეს განვითარებადი ქვეყნების რესპონსიბილიზაცია (governmentality-ს შესახებ ლიტერატურაში გამოყენებული ცნება, რომელიც აღნიშნავს ნეოლიბერალურ პოლიტიკებსა და დისკურსს, სადაც პასუხისმგებლობა ინდივიდებს ეკისრებათ იმაზე, რასაც ადრე კეთილდღეობის სახელმწიფო უზრუნველყოფდა) და მეორე მხრივ, განვითარებაში წამყვანი როლის მქონედ მოიაზრება არა სახელმწიფოები, არამედ ბიზნესი და არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ პირობებში გლობალური govermentality საერთაშორისო ორგანიზაციებს და დონორებს არასამთავრობო ორგანიზაციების დასაფინანსებლად მიმართავს, რაც განვითარებად/მესამე სამყაროში NGO-ების ბუმს იწვევს.

ჯეიმს პეტრასი, 1999 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში "არასამთავრობოები იმპერიალიზმის სამსახურში" აღწერს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას განვითარებად ქვეყნებში, რომელიც ემსახურება გაბატონებული კლასების ინტერესებს. მისი თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები იმაში უფრო მეტად არიან გაწაფულები, რომ მოითხოვონ მეტი ანაზღაურება „დამსახურებული პროფესიონალებისთვის", ვიდრე გარისკონ და დაბალანაზღაურებადი სოფლის მასწავლებლების გვერდით დადგნენ საპროტესტო აქციაზე, სადაც შეიძლება პოლიციისგან მოხვდეთ. ენჯეოების ხელმძღვანელები ახალ სოციალურ ფენას წარმოადგენენ, რომელიც განისაზღვრება არა საკუთრების ფლობით ან სამთავრობო რესურსებით, არამედ იმპერიალისტური ფინანსებით და მათი უნარით, გააკონტროლონ საზოგადოებრივი ჯგუფების მნიშვნელოვანი ნაწილი. არასამათვარობოების ხელმძღვანელები შეიძლება გაგებულ იქნან როგორც ნეო–კომპრადორების ჯგუფი, რომელიც არანაირ სასარგებლო პროდუქტს არ ქმნის,მაგრამ ასრულებს სერვისს დონორი ქვეყნებისთვის – რაც ძირითადად გამოიხატება ქვეყნის სიღარიბით ვაჭრობაში ინდივიდუალური სარგებლის ნახვის მიზნით. ფორმალური არგუმენტები, რომლებსაც ენჯეოების დირექტორები იყენებენ საკუთარი პოზიციების გასამყარებლად – რომ ისინი ებრძვიან უთანასწორობას, სიღარიბეს და ა.შ. – შეცდომაში შემყვანია, რადგან მათი საქმიანობა სინამდვილეში მათსავე ინტერესებს ემსახურება.

არსებობს პირდაპირი კავშირი არასამთავობოების ზრდასა და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტების გაუარესებას შორის: ენჯეოების გამრავლებას არ შეუმცირებია სტრუქტურული უმუშევრობა, გლეხთა მასიური მიგრაცია, არ უზრუნველყვია ცხოვრებისთვის აუცილებელი ხელფასით არაფორმალურ სექტორში დასაქმებული ადამიანების მზარდი არმია. რაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააკეთეს, არის ის, რომ შექმნეს ერთგვარი თავშესაფარი პროფესიონალთა მცირერიცხოვანი წრისათვის, რითაც ამ უკანასკნელთ მიეცათ საშუალება, ასულიყვნენ არსებული სოციალური კიბის ზედა საფეხურებზე და გაქცეულიყვნენ ნეოლიბერალური ეკონომიკის გამანადგურებელ შედეგებს, რითაც მათი ქვეყანა და ხალხი ზიანდება. აღსანიშნავია, რომ რეალობა მკვეთრად განსხვავდება ენჯეოებში მომუშავე ადამიანების თვითაღქმისაგან. მათ მიერ გამოცემული პრეს რელიზებისა და საჯარო განცხადებების თანახმად, ისინი წარმოადგენენ მესამე გზას „ავტორიტარულ ეტატიზმსა“ და „ველურ საბაზრო კაპიტალიზმს“ შორის: ისინი საკუთრ თავს აღწერენ, როგორც “სამოქალაქო საზოგადოების” ავანგარდს, რომელიც „გლობალური ეკონომიკის“ სივრცეებში ოპერირებს. ზოგადი მიზანი, რომელიც ხშირად ისმის ხოლმე ენჯეოების კონფერენციებზე, არის “ალტერნატიული განვითარება“. (პეტრასი, 1999)

მისი თქმით, ყბადარებული სიტყვები – „სამოქალაქო საზოგადოება“, რეალურად შინაარსს მოკლებულია. „სამოქალაქო საზოგადოება“ არ არის ერთი რაიმე ორგანიზაცია – ის შედგება კლასებისაგან, რომლებიც დაყოფილები არიან და თანაც, დღეს უფრო მეტად, ვიდრე არასდროს. მშრომელთა მიმართ ყველაზე დიდი უსამართლობების უმეტესობა „სამოქალაქო საზოგადოების“ წევრი მდიდარი ბანკირების მიერაა ჩადენილი, რომლებიც შეუსაბამოდ მაღალ პროცენტს იღებენ საშინაო ვალიდან; მესაკუთრეების მიერ, რომლებიც გლეხებს მათი მიწებიდან ყრიან და ინდუსტრიული კაპიტალისტების მიერ, რომლებიც მშრომელებს უმცირეს ხელფასებზე ამუშავებენ სამკერვალო ფაბრიკებში. „სამოქალაქო საზოგადოებაზე“ საუბრისას ენჯეოები ნიღბავენ ძირეულ განსხვავებებს სოციალურ ფენებს შორის, კლასობრივ ჩაგვრასა და კლასობრივ ბრძოლას, რომელიც თანამედროვე „სამოქალაქო საზოგადოების“ პოლარიზებას ახდენს. გარდა იმისა, რომ ანალიტიკურად გამოუსადეგარი და გაურკვეველი კონცეპტია, „სამოქალაქო საზოგადოება“ ხელს უწყობს არასამთავრობოებს მათ დამფინანსებელ

კაპიტალისტურ ინტერესებთან კოლაბორაციაში. ეს მათ საშუალებას აძლევს, თავიანთი პროექტები და მიმდევრები მიმართონ დაქვემდებარებულ პოზიციაში დიდი ბიზნესების ინტერესებთან, რომლებიც მართავენ ნეოლიბერალურ ეკონომიკებს. ამასთან, არცთუ ისე იშვიათად, ენჯეოების რიტორიკა სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებით სინამდვილეში შენიღბული შეტევაა სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ წარმოებული ფართომასშტაბიანი სოციალური პროგრამების წინააღმდეგ. არასამთავრობოები დიდი ბიზნესების მხარეს იჭერენ „ანტი-ეტატისტურ“ რიტორიკაში (სადაც ერთი ტერმინ „სამოქალაქო საზოგადოებას“ იყენებს, მეორე კი „ბაზარს“), რათა მოხდეს სახელმწიფო რესურსების მათთვის სასარგებლო გადანაწილება. კაპიტალისტების „ანტი-ეტატისტური“ რიტორიკა გამოიყენება იმისათვის, რომ მოხდეს საჯარო რესურსებით ექსპორტის სუბსიდირება და გაკოტრების პირას მყოფი კორპორაციების გადარჩენა ბიუჯეტის სახსრებით. ენჯეოები კი ცდილობენ, მიიღონ თავიანთი მცირე წილი „ქვეკონტრაქტების“ სახით, რის შემდეგაც აწვდიან დაბალი ხარისხის მომსახურებას ხალხის მცირე რაოდენობას. ენჯეოელების თვითაღქმისაგან განსხვავებით, რომელიც მათ წარმოადგენს, როგორც ინოვაციურ სახალხო ლიდერებს, ისინი სინამდვილეში რეაქციონერები არიან, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდს ეხმარებიან, ახდენენ რა პრივატიზაციის მხარდაჭერას, დემობილიზირებას უწევენ სახალხო მოძრაობებს და აბრკოლებენ წინააღმდეგობის მოძრაობებს. (პეტრასი, 1999)

დონელი სტატიაში “ადამიანის უფლებების უნივერსალურობისა და რელატიურობის შესახებ” საუბრობს იმ პრობლემებზე, რომელსაც გაერო აწყდება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის იმპლემენტაციის დროს. ვინაიდან გაეროს არ აქვს ბერკეტები გავლენა მოახდინოს ერი-სახელმწიფოს შიდა პოლიტიკურ პროცესზე, ის ადამიანის უფლებათა დასაცავად აფინანსებს არასამთავრობო ორგანიზაციებს მესამე მსოფლიოს ქვეყნებში. ვინაიდან, ადამიანის უფლებებში როგორც წესი ინდივიდუალური უფლებები იგულისხმება, ამ უფლებებისთვის ბრძოლა სამომავლოდ კარგ ნიადაგს ქმნის ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის ამ ქვეყანაში შესასვლელად. (Donnelly, 2007)

თავის მხრივ მაკაუ მუტუა თავის სტატიაში საუბრობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მოძრაობაზე, რომელიც ეფუძნება "ველური-მსხვერპლი-მხსნელის" მეტაფორას და რომელიც მიზნად ისახავს ამ უფლებების უნივერსალიზაციას სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების გამოყენებით. გაეროს ქარტიაში, რომელიც კონსტიტუციონალური ბაზისია მისი ყველა წევრისთვის, აცხადებს, რომ ადამიანის უფლებები კაცობრიობის გადარჩენისათვის განუყოფელი ელემენტია. ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია, გრანდ-დოკუმენტი ადამიანის უფლებების დოკუმენტებს შორის, გვისახავს ისტორიულ ბრძოლას კეთილსა და ბოროტს შორის, სადაც ამ უკანასკნელის გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის უფლებების საშუალებით. დღეს, ადამიანის უფლებათა მოძრაობამ არაევროპელი ჩამოაყალიბა, როგორც ველური და მსხვერპლი. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ადოლფ ჰიტლერი წარმოგვიდგება, როგორც მარადიული "ველური". სწორედ მისი რეჟიმისადმი ზიზღმა, ბიძგი მისცა ადამიანის უფლებათა მოძრაობას (Mutua, 2001).

ასევე, ფემინისტი ფილოსოფოსი ნენსი ფრეიზერი სტატიაში " პროგრესული ნეოლიბერალიზმის დასასრული" საუბრობს პროგრესული ნეოლიბერალიზმის კონცეპტის შესახებ და ის ამ თეზისის ქვეშ მოიაზრებს იმგვარ სუბიექტებს, რომელიც ერთის მხრივ თავისუფალი ბაზრის აპოლოგეტია, ხოლო მეორეს მხრივ მხარს უჭერს ემანსიპატორულ პოლიტიკებს. " პროგრესული ნეოლიბერალიზმი წარმოადგენს ერთის მხრივ ამჟამინდელი მეინსტრიმული ახალი სოციალური მოძრაობების (ფემინისზმი, ანტი–რასიზმი, მულტიკულტურალიზმი და LGBTQ) ალიანსს, ხოლო მეორეს მხრივ მრავალ სიმბოლოიან და სერვისზე დაფუძნებულ ბიზნეს სექტორს (Wall Street, Silicon Valley, და Hollywood). ამ ალიანსში, პროგრესული ძალები ეფექტურად ერთიანდებიან კოგნიტური კაპიტალისმის, განსაკუთრებით კი ფინანსიალიზაციის ძალებთან. უნებლიედ პირველმა მათგანმა მისი ქარიზმა ამ უკანასკნელს გადაულოცა. ისეთი იდეალები, როგორებიცაა მრავალფეროვნება და გაძლიერება, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ სხვა შედეგები, ახლა ემსახურებიან პოლიტიკებს, რომლებმაც გაანადურეს წარმოება, ერთ დროს საშუალო კლასის მარჩენალი". (Fraser, 2017)

როგორც ეს უკანასკნელი გვიჩვენებს, სოციალურ უსაფრთხოებაზე თავდასხმა განხორციელდა ახალი სოციალური მოძრაობებისგან ნასესხები ემანსიპატორული ქარიზმის ნიღბით. წლების განვალობაში, როდესაც წარმოება მცირდებოდა, ქვეყანაში ზუზუნებდა საუბრები „მრავალფეროვნებაზე“, „გაძლიერებაზე“ და „არა დისკრიმინაციაზე“. თანასწორობის ნაცვლად „პროგრესის“ მერიტოკრატიასთან იდენტიფიცირებამ, „ემანსიპაცია“ გააიგივა „ნიჭიერი“ ქალების, უმცირესობების მზარდ, მცირე ელიტებთან, რომლები მოქმედებდნენ „ყველაფერი გამარჯვებულს“ კორპორაციულ იერარქიული პრინციპებით. „პროგრესის“ ამ ლიბერალურ-ინდივიდუალისტურმა გაგებამ ნელ-ნელა ჩაანაცვლა ემანსიპაციის უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე, ანტი იერარქიული, თანასწორული, კლასობრივად მგრძნობიარე, ანტი კაპიტალისტური გაგება, რომელიც პოპულარული იყო 1960-იან 70-იან წლებში. როგორც კი ახალი მემარცხენეობა დასუსტდა, კაპიტალისტური საზოგადოების მისმა კრიტიკამაც დაიწყო ჭკნობა და ქვეყნის ლიბერალურ-ინდივიდუალისტური აზროვნება მოძლიერდა, რომელმაც შეუმჩნევლად შეასუსტა „პროგრესისტებისა“ და თვით-გამოცხადებული მემარცხენეების მისწრაფებები. ამ პროცესების გამყარებას ხელი შეუწყო ნეოლიბერალიზმის პოპულარობის ზრდის დამთხვევამ. შედეგი იყო „პროგრესული ნეოლიბერალიზმი“, რომელმაც გააერთიანა ემანსიპაციის შემცირებული იდეალები და ფინანსიალიზაციის მომაკვდინებელი ფორმები. (Fraser, 2017)

მეთოდოლოგია

პირველ ეტაპზე ჩავატარებ მეორადი მონაცემების ანალიზს, რომლის საფუძველზეც მოვიძიებ ყველა მნიშვნელოვან და რელევანტურ კვლევას, ინფორმაციას, თუ ანალიზს ადგილობრივი, თუ საერთაშორისო არსამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რაც დამეხმარება საკითხის უკეთ ჩამოყალიბებაში.

კვლევის შემდგომ ეტაპზე კი გამოვიყენებ თვისებრივი კვლევის მეთოდს, კერძოდ კი **კონტენტ-ანალიზს,** რაც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების. ნაშრომის

შესასწავლად გამოვიყენებ თვისებრივი კვლევის მეთოდს, კერძოდ კი კონტენტ ანალიზს, რაც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ საჯარო გამოსვლების, ვიდეოების, ინტერვიუებისა, თუ ტექსტობრივი მასალის ანალიზს გულისხმობს.

კონტენტ-ანალიზის ობიექტი შეიძლება გახდეს გაზეთების, საჯარო გამოსვლების, ტელე და რადიოგადაცემების, ოფიციალური და პირადი დოკუმენტების, ინტერვიუების, ანკეტის ღია კითხვებზე პასუხების და ა.შ. შინაარსი. ტერმინი ითარგმნება ქართულ ენაზე როგორც „შინაარსის ანალიზი“. კონტენტ ანალიზი მასობრივი საკომუნიკაციო საშუალებებისა და საჯარო გამოსვლების ანალიზის საფუძველზე შეიქმნა და ორივე ფორმის საკომუნიკაციო მასალის, როგორც სტრუქტურირებულის, ასევე არასტრუქტურირებულის შესწავლაზე ვრცელდება. ის შეიძლება გამოყენებული იყოს „იმ მნიშვნელოვანი პრობლემების შესასწავლად, რომლებიც თავს იჩენს კულტურის, სოციალური სტრუქტურისა და სოციალური ურთიერთქმედების თანხვედრისას.“ (ზურაბიშვილი, 2006)

პირველ ეტაპზე ჩავატარებ მეორადი მონაცემების ანალიზს, რომლის საფუძველზეც მოვიძიებ ყველა მნიშვნელოვან და რელევანტურ კვლევას, ინფორმაციას, თუ ანალიზს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია, რომ კვლევისას შესაბამისი ყურადღება დავუთმოთ ცვლადებს, და მოვახდინოთ მათი ოპერაციონალიზაცია.

ეს ცვლადებია:

დამოუკიდებელი ცვლადი - ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოებული პოლიტიკა;

შუალედური ცვლადი - ნეოლიბერალური ეკონომიკურ პოლიტიკის გატარება

დამოკიდებული ცვლადი - ნეოლიბერალიზაციის პროცესი.

ა) მოცემული საკითხის შესასწავლად თავდაპირველად იგეგმება მეორადი მონაცემების ანალიზი, რისთვისაც შევისწავლი უკვე არსებულ მონაცემებსა თუ კვლევებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რათა მოვიპოვო უკვე არსებული ინფორმაცია და დავაგროვო გარკვეული ცოდნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;

ბ) რის შემდეგაც დამოკიდებულ, შუალედურ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად შევისწავლი 2003-2012 წლებში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური, თუ ინტელექტუალური ელიტების განცხადებებს, ინიციატივებსა და დღის წესრიგს;

საერთაშორისო დონორების/ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების როლის დასადგენად ნეოლიბერალიზაციის პროცესში 2003-2012 წლების საქართველოში:

1) მეორადი მონაცემების ანალიზი:

ა) არსებული კვლევებისა, თუ მონაცემების მოძიება, მათი გადარჩევა და საჭირო ინფორმაციის ანალიზი.

2) კონტენტ ანალიზი:

ა) ადგილობრივი ყველაზე მსხვილი (ორგანიზაციების, რომელთაც ყველაზე მეტი დაფინანსება აქვთ) არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებების, ინიციატივების, სატელევიზიო გამოსვლებისა და დღის წესრიგის შესწავლა ინტერნეტში არსებული ვიდეოების, ორგაზაციების საიტების და სატელევიზიო თუ ინტერნეტში არსებული არქივის საშუალებით (2003-2012 წლებში);

ბ) იმ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების პრიორიტეტების შესწავლა 2003-2012 წლებში, რომლებიც ამ ადგილობრივ არასამთავრობო ორგაზაციებს აფინანსებდნენ.

კვლევის ანალიზი

ნეოლიბერალური მოდელის წარმოების ისტორია

2003 წელი გარდამტეხი წელია ქართულ პოლიტიკულ ცხოვრებაში. ამ წელს ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ერთობამ „ვარდების რევოლუციის“ საშუალებით ჩაანაცვლა ხელისუფლება და ეკონომიკური წარმატების გზად თავისუფალი ბაზრისა და სრული დერეგულირების პოლიტიკა განსაზღვრა, რასაც უნდა გაეჩინა შესაძლებლობა, კაპიტალისტური ეკონომიკური მოდელის კრიტიკული გააზრების გარეშე, მისი ავტომატური მიღებით, ეკონომიკური აღმავლობა ახალი ფურცლიდან დაწყებულიყო. (ცინცაბაძე, 2016)

2007-2010 წლებში, საქართველოს ხელისუფლებამ „ეკონომიკაში მინიმალურად საჭირო ადმინისტრაციული ჩარევა“ მოითხოვა (ჯონსი, 2013). დამატებით გაუქმდა ლიცენზირება, შემცირდა გადასახადები მეწარეებისთვის, ხოლო ქამრების შემოჭერის პოლიტიკის შედეგად, შეიკვეცა სახელმწიფო უწყებების კადრები (ჯონსი, 2013). თუმცა, „ინტერვენციული ნეოლიბერალური“ სახელმწიფოს პირობებში, ბიზნესის დამორჩილების ახალი სისტემა წარმოიშვა. საგულისხმოა, რომ დერეგულაციას სახელმწიფოსგან თავისუფალი ეკონომიკა არ შეუქმნია, მხოლოდ კონტროლის მექანიზმებს უცვალა სახე (ჯონსი, 2013). შესაბამისად, დერეგულაცია, პირველ რიგში, მშრომელი მოქალაქეების შრომით უფლებებსა და პირობებს შეეხო და ხელისუფლება, დიდწილად, იაფი და უუფლებო მუშახელის ხარჯზე სთავაზობდა ბიზნესს ხელსაყრელ პირობებს. (ბარქაია, 2018)

ამგვარად, ნეოლიბერალურმა პოლიტიკამ, სტივენ ჯონსის (2013) აზრით, გაამძაფრა ადამიანის სოციალური და ეკონომიკური გარიყვა და გაურთულა მას სოციალური და ეკონომიკური უფლებების განხორციელება. ემანსიპატორული დღის წესრიგი

საქართველოში „შემოვიდა“ პროგრესული ნეოლიბერალიზმის წინასწარგანსაზღვრული კომპლექტის სახით, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია ნეოლიბერალური განვითარების მოდელის, ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების და კერძო საკუთრების ერთგვარ ნაკრებად.

პროგრესული ნეოლიბერალიზმის კომპლექტის მიერ გამორიცხულ სოციალურ განზომილებაზე მეტყველებს საქართველოს პოლიტიკური ელიტისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ საერთაშორისო პაქტებისადმი არჩევითი მიდგომა. მაგალითად, გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტისთვის არც საქართველოს ხელისუფლებას და არც სამოქალაქო საზოგადოებას ანგარიშში 2001 წლის შემდეგ არ წარუდგენია, მაშინ როდესაც ამ კომიტეტის ფარგლებში განხილული აქტუალური სოციალური საკითხები, განსაკუთრებით მწვავედ იდგა საქართველოში დერეგულაციისა და ინტერვენციული ნეოლიბერალიზმის ფონზე. 2001 წლის ანგარიშის[1] საფუძველზე კომიტეტის გაცემულ რეკომენდაციებში იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა უმუშევრობა, დაბალი შემოსავლები, არასათანადო სოციალური დაცვის მექანიზმები, სიღარიბე და მისი თანაკვეთა ქალთა და ბავშვთა უფლებებთან, სკოლიდან მოსწავლეთა გადინება, ა.შ. ამ კომიტეტისგან განსხვავებით, აქტიურად ხდება ხელისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ანგარიშების წარდგენა სხვა კომიტეტებში, რომლებიც სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორობის სხვადასხვა საკითხზეა ფოკუსირებული. ეს ტენდენცია ნეოლიბერალური ეპოქისთვის სიმპტომატურია, რადგან ეკონომიკის დეპოლიტიზება უფრო და უფრო ბუნდოვანს ხდის ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას, ხელისუფლებასა და სხვადასხვა პარტიულ ოპოზიციას შორის არსებულ იდეოლოგიურ ჩარჩოებს და მათი ბრძოლის ველი პროგრესული ნეოლიბერალიზმის ფარგლებშია მოქცეული. გარდა იმისა, რომ ემანსიპატორული პოლიტიკა, ნეოლიბერალური განვითარების მოდელთან ერთად, პროგრესული ნეოლიბერალიზმის კომპლექტის შემადგენელი ნაწილია, ეს პოლიტიკა ეფუძნება კონკრეტულ იდეოლოგიურ ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს ემანსიპატორული პოლიტიკის დღის წესრიგს, არსს, ხედვას და სტრატეგიებს.

[1] http://tbinternet.ohchr.org/_layouts/TreatyBodyExternal/Countries.aspx?CountryCode=GEO&Lang=EN

პროგრესული/რეგრესული დიქოტომია კი, ამ კონკრეტულ მოდელს სახავს სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორობის მისაღწევ ერთადერთ გზად და საშუალებად. (ბარქაია, 2018)

არასამთავრობო ორგანიზაციების პრიორიტეტები

არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ გავლენიანი ორგანიზაციების უმრავლესობისთვის, პრიორიტეტული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა, სამართლიანი არჩევნები, გამჭირვალობა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. ორგანიზაციების დღის წესრიგში ნაკლებად იყო სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა ცენტრის" (HRIDC)[2] შესახებ ვკითხულობთ: „მისი მიზანია საქართველოში ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა დაცვასა და ძირეული თავისუფლებების განვითარებას, ასევე წვლილი შეიტანოს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საქმეში.“ ასევე, ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გავლენიანი ორგანიზაციის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“[3] შესახებ ვკითხულობთ: „ ჩვენი მიზანია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობით საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ჩვენი მისიაა, ვიყოთ საქართველოში მიმდინარე კორუფციის რეფორმის შესახებ პირველწყარო; დავეხმაროთ მთავრობასა და ზოგადად საზოგადოებას იმ სექტორთა რეფორმირების პროცესის წინ წაწევაში, სადაც დღეს კორუფცია ჯერ კიდევ არსებობს; ავაშენოთ და გავაძლიეროთ ინსტიტუტები და ხელი შევუწყოთ კარგ მმართველობას... „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ თავისი საქმიანობით ცდილობს საქართველო გახდეს ქვეყანა, სადაც მოქალაქეები პოლიტიკის შექმნაში მიიღებენ მონაწილეობას, სადაც მთავრობისა და ბიზნესის გამჭვირვალედ და ღიად მუშაობა ჩვეულებრივი ყოველდღიურობა იქნება და სადაც კორუფციის შემთხვევები არცერთ დონეზე არ იარსებებს.

[2] http://www.cso.ge/organization_projects.php?slug=adamianis-uflebata-centri
[3] https://www.transparency.ge/ge/misia

ასევე, საინტერესოა, საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და დიდი - „ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს“[4] მიზნები საქართველოში. ფონდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტები ყოველთვის იყო ადამიანის უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობა. თუმცა, თუ გადავხედავთ გაცემულ გრანტთა არქივს, ვნახავთ, რომ თანხების ძირითადი ნაწილი ხმარდება მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებს.

ასევე, ორგანიზაციების დღის წესრიგში სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს გენდერული, ეთნიკური თუ რელიგიური საკითხები.

შრომის კოდექსი

,,შრომითი ურთიერთობების ლიბერალიზაცია და საბაზრო პირობებთან ადაპტირება”, - ეს ის ძირითადი მიზნებია, რომლებიც დეკლარირებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ „შრომის კოდექსის“ ახალი პროექტის შემუშავების აუცილებლობის დასაბუთებისას. 2006 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო აღნიშნული კოდექსი, რომელიც ადგენს შრომის ძირითად ნორმებს და მინიმალურ სტანდარტებს. ამ პერიოდშივე შემცირდა მაკონტროლებელი ორგანოების რაოდენობა, ხოლო მათ ნაწილს მნიშვნელოვნად შეეზღუდა უფლებამოსილებები, მათ შორის, უწყების კორუფციულობის მოტივით გაუქმდა შრომის ინსპექცია. შედეგები მთელი სიმძლავრით დააწვა დასაქმებულებს. (ანთაძე, 2006)

2006 წელს მიღებულ შრომის კოდექსი ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის ევროპის სოციალურ ქარტიასთან. კოდექსი უპირატესობას დამსაქმებელს ანიჭებს და არ ზრუნავს დასაქმებულის სოციალურ დაცვაზე. მაგალითად, აღნინული კოდექსის თანახმად, ,,დასაქმებული ვალდებულია გააფრთხილოს დამსაქმებელი არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. თუმცა, პარალელურად, დამსაქმებელს უფლება აქვს გაფრთხილების გარეშე, საკუთარი სურვილისამებრ

[4] http://www.osgf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=32

დაითხოვოს დასაქმებული, რაც ბუნებრივია, არათანაბარ პირობებში აყენებს დასაქმებულს და დამსაქმებელს. (ანთაძე, 2006)

შრომითი უფლებების გამოწვევები 2012 წელს საქართველოს ახალი კოალიციური ხელისუფლების წინაშე განახლებული სიმძლავრით წარმოჩინდა. ქვეყნის თითქმის ყველა ინდუსტრიულ რეგიონში წარიმართა მუშათა მასიური გაფიცვები. გამოვლინდა დიდი ხნის მანძილზე დამალული უმძიმესი დარღვევები: საწარმოებში დასაქმებულების შრომა საფრთხის შემცველ სამუშაო გარემოში, უსაფრთხოებისა და მავნე პირობებისგან დამცავი ეკიპირების გარეშე; დაშავებისა და გარდაცვალების სტატისტიკის (2007-2016 წლებში საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი მონაცემებით ქვეყნის მასშტაბით საწარმოო ტრავმებისგან 414 ადამიანი დაიღუპა და 716 მძიმედ დაშავდა (კაკაშვილი, 2018)) მასშტაბური სახე, რომლის საჯარო გამოქვეყნება შეწყვეტილი იყო შრომის ინსპექციის გაუქმების შემდგომი პერიოდიდან. დისკრიმინაციული ნიშნით, მათ შორის, პროფკავშირის წევრობის გამო ხელშეკრულების უსაფუძვლოდ შეწყვეტის მასიური შემთხვევები. აღნიშნული განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა, ვინაიდან რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის ეს საწარმოები დასაქმების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. (ცინცაბაძე, 2016)

საინტერესოა, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის, შრომის კოდექსის შემუშავებას, მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია გამოეხმაურა. ორგანიზაციების დიდი ნაწილისთვის, ეს თემა არ იყო პრიორიტეტული. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციები, რომელთაც გაცხადებული აქვთ დასავლური ღირებულებებისთვის ბრძოლა, არ აღმოჩნდა პრობლემური შრომის კოდექსი, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მინიმალურ სტანდარტს.

ერთ-ერთი, ვინც აღნიშულ პროცესს კრიტიკულად გამოეხმაურა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაა. ორგანიზაცია რამდენიმე საკითხზე ამახვილებს ყურადღებას:

სამუშაოზე მიღებისას წარსადგენი დოკუმენტები[5]

წარმოდგენილი კანონპროექტის ამოქმედების შემთხვევაში დამქირავებელი უფლებამოსილი იქნება მოიპოვოს ის ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელიც ესაჭიროება მას კანდიდატის დაქირავების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, ანუ დამქირავებელი შეზღუდული არ არის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალით, ერთადერთი შეზღუდვა არის დოკუმენტების კანონიერი გზით მოპოვება. ერთ-ერთი კანონიერი გზა არის თავად კანდიდატის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა, პირობითად ეს შეიძლება იყოს განათლების დამადასტურებელი საბუთი, რეკომენდაცია, ინფორმაცია ადრინდელი საქმიანობის ან წარმატებების შესახებ და ა.შ. დამქირავებლისათვის საბუთების მოთხოვნის საზღვრების დაუდგენლობა განსაკუთრებულად გაართულებს დასაქმების პრობლემას, რადგან კანონპროექტში არსად არ არის განსაზღვრული, რომ შრომის ხელშეკრულება დგება ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, ამასთან თუ ხელშეკრულება დაიდო ზეპირი ფორმით, დაქირავებულს წინა შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ გააჩნია. თუმცა, ეს არ არის სავარაუდო გართულებების სრული ჩამონათვალი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში კანონპროექტი არ ითვალისწინებს დამქირავებლის მიერ დაქირავებულიასთვის გაწეული საქმიანობის შესახებ შესაბამისი საბუთის გაცემის ვალდებულებას. ნებისმიერი მკითხველისთვის სირთულეს არ წარმოადგენს იმის გააზრება, თუ რამდენად მარტივი მოსაპოვებელი გახდება დაქმირავებლისაგან ამ სახის საბუთის მოპოვება, იმ შემთვევაში თუ ურთოერთობა მხარეებს შორის შეწყდა კონფლიქტურ ნიადაგზე.

დაცული იქნება თუ არა ქალთა შრომითი უფლებები?

საყოველთაო დავის და გაურკვევლობის საგნად იქცა ქალებისათვის შრომითი ურთიერთობის შეჩერება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო.

[5] https://gyla.ge/ge/post/print/akhali-shromis-kanoni-arsebuli-realobis-motsesrigebis-mcdeloba-88

ევროპის სოციალური ქარტიის თანახმად დადგენილია, რომ ორსულობისა და ბავშვების გაჩენის შემდეგ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ქალებისათვის არანაკლებ 14 კვირის ანაზღაურებადი შვებულება. სამწუხაროდ, საქართველოს მიერ სწორედ ეს პუნქტი არ არის რატიფიცირებული. წარმოდგენილი კანონპროექტით დაცულია ქარტიით დადგენილი 14 კვირიანი შვებულების ვადა. რაც შეეხება, შვებულების ანაზღაურებას, ეს დამქირავებლის ვალდებულებას წარმოადგენს. დამქირავებლისათვის ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურების დაკისრება ცალსახად გამოიწვევს ქალთა დასაქმების შემცირებას. დამქირავებლის მოტივაცია ქალების სამსახურში ასაყვანად გაცილებით ნაკლები იქნება, რადგან ეს მათთვის დამატებითი ხარჯის ერთ-ერთი მინიშვნელოვანი საფუძველი გახდება. ამ შემთხვევაში, აუცილებელია სახელმწიფო კონსტიტუციით აღიარებული სოციალური უფლებების დაცვის გარანტის როლში მოგვევლინოს და საკუთარ თავზე აიღოს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურება.

წინასწარი გაფრთხილება სამსახურიდან განთავისულფების შემთხვევაში

შემოთავაზებული კანონპროექტი ითვალისწინებს შრომითი ურთიერობის შეწყვეტის სხვა დასხვა შესაძლებლობებს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მხარებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინებების ვალდებულებაზე. დაქირავებულმა ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში 30 დრით ადრე წერილობით უნდა გააფრთხილოს დამქირავებელი, ხოლო დამქირავებელს შეუძლია წინასწარი შეტყობინების გარეშე გაანთავისუფლოს დაქირავებული, მაგრამ უნდა გადაუხადოს ერთი თვის ხელფასი. ამ შემთვევაში ნიშანდობლივია მხარეებისათვის გაფრთხილების/შეტყობინების სხვადასხვა ფორმის დაწესება, ანუ დაქირავებულმა წერილობით უნდა შეატყობინოს, დამქირავებლს ამის გაკეთება ზეპირადაც შეუძლია. იმ შემთხევაში თუ დაქმირავებელს წერილობითი ფორმით არ განესაზღვრება შეტყობინების გაკეთების ვალდებულება, მაშინ აზრს კარგავს დამქირავებლისთვის განსაზღვრული ერთი თვის ხელფასის გაცემის მოვალეობა,

რადგან პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება იმის დამტკიცება თუ როდის გაკეთდა ზეპირი შეტყობინება, შესაბამისად შეუძლებელი გახდება იმ თარიღის დადგენა, რომლიდანაც უნდა აითვალოს ერთი თვის ხელფასი. მხარეთა შორის ვალდებულებების მოცემული სახით გადანაწილება სხვა არაფერია თუ არა დაქირავებულისა და დამქირავებლისადმი უთანაბრო მიდგომა.

ზეგანაკვეთური სამუშაო

კონვენცია "იძულებითი ან სავალდებლო შრომის შესახებ" ადგენს, რომ ზეგანაკვეთურ დროს მუშაობის აუცილებლობის შემთხვევაში, ასეთი სამუშაო ანაზღაურდება ჩვეულებრივ განაკვეთებზე უფრო მაღალი განაკვეთებით. წარმოდგენილი კანოპროექტი კი ითვალისწინებს სტიქიური უბედურების ან საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ანაზღაურების გარეშე ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების ვალდებულას., რაც წინააღმდეგობაში მოდის ხსენებულ კონვენციასთან. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუცია ადგენს შრომის სამართლიანი ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც კანონით უნდა იქნეს განსაზღვრული. კონსტიტუციით აღიარებული შრომითი უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით (კონსტიტუციის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტი) საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს. წარმოდგენილი დებულებით კი ხდება კონსტიტუციით აღიარებული უფლების შეზღუდვა, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს უზენაეს კანონთან. პრეზიდენტის დეკრეტით შეიძლება საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდეს სტიქიური უბედურების დროს, სწორედ ამ დროს არ იქნება საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლების შეზღუდვა, სხვა ყველა საგამონაკლისო შემთხვევა, რომელიც შეიძლება დადგინდეს კანონით იქნება საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგო ნორმა.

არასრულწლოვანთა შრომა

არასრულწლოვანთა შრომა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომლის ახლებურად მოწესრიგებასაც ისახავს მიზნად ახალი კანონი. Kკანონპროექტის თანახმად 14 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს დამოუკიდებლად შეუძლია დადოს შრომითი ხელშეკრულება, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა აუცილებელია მხოლოდ 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებთან ხელშეკრულების დადებისას. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის თანახმად 18 წელი არის ის ასაკი, რომლის შემდეგ ადამიანი ხდება სრულ ქმედუნარიანი (ანუ იგი არ არის ბავშვი) და მხოლოდ ამ ასაკს მიღწევის შემდეგ იგი არ საჭიროებს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მზრუნველობას. ამდენად, პროექტით შემოთავზებული შესაძლებლობა 14 წლის ასაკს მიღწეული პირების მშობლების თანხმობის გარეშე დასაქმების დაშვების თაობაზე ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და ასევე, საქართველოს შიდა კანომდებლობას.

გარდა ამისა, ევროპის სოციალური ქარტიის სავალდებულოდ ადგენს 18 წლამდე პირებისათვის ისეთი სამუშაო პირობების შექმნას რომელთა თანახმად ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, რომ: "უზრუნველყონ 18 წლამდე ასაკის პირებისათვის სამუშაო საათების შემცირება მათი განვითარების და კერძოდ, პროფესიული მომზადების საჭიროების შესაბამისად" და "უზრუნველყონ, რომ ჩვეულებრივი სამუშაო დღის განმავლობაში ახალგაზრდების მიერ პროფესიული მომზადებაზე დახარჯული დრო დამსაქმებლის თანხმობით ჩაითვალოს სამუშაო საათებში." პროექტში არსასრულწლოვანთათვის დადგენილი სტანდარტების არ არის სათანადოდ ასახული. ამდენად, სასურველი იქნებოდა ახალგაზრდების შრომის მარეგულირებელ ნორმებში უფრო დეტალურად და ნათლად ჩამოყალიბდეს მოყვანილი დებულებები.

დაბოლოს, კანონპროექტი არ გვთავაზობს დასაქმებულთა აღრიცხვის არანაირ მეთოდს, ანუ გაურკვეველია სახელმწიფო როგორ მოახდენს ყოველწლიურად ქვეყანაში პენსიონერთა საერთო რიცხვის განსაზღვრას, ასევე, გაურკვეველია გაფიცვისა და ლოკაუტის უფლებით სარგებლობისას რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს გამაფრთხილებელი გაფიცვა და გამაფრთხილებელი ლოკაუტი.

საბოლოოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოს მიერ შრომითი ურთიერთობის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოწესრიგების მცდელობა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა. დასახული რთული საკითხის ღირსეულად გადაწყვეტის გზაზე ერთ - ერთი უმნიშვნელოვანეს ფაქტორს საზოგადოებრივი აქტივობა და ინტენსიური დიალოგი წარმოადგენს. (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია)

პრივატიზაცია

ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ 2004 წლის 15 ივლისს იმ საწარმოთა სიის პრეზენტაცია გამართა, რომელთა პრივატიზება 2004-2006 წლებში განხორციელდა:

“თბილავიამშენი“, “რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“, “ჭიათურმანგანუმი“, “აზოტი“, “საქართველოს ელექტროკავშირი“, თბილისის, ბათუმისა და ფოთის აეროპორტები და ცალკეული მცირე ენერგოობიექტები - ეს ნაწილია იმ ობიექტებისა, რომელთა პრივატიზება პირველი ეტაპისთვის მოხდა. სულ ნუსხაში 372 ობიექტი იყო შეტანილი. (გულარიძე, 2004)

როგორც მაშინ კაცა ბენდუქიძე ამბობდა, ცალკეული ობიექტების პრივატიზება საჯაროდ, აუქციონის წესით მოხდებოდა. პირველ აუქციონზე, აჭარაში არსებული დასასვენებელი ობიექტები გაიყიდა.

“უსასაყიდლოდ არაფერი არ გასხვისდება, ყველა ობიექტს თავისი საწყისი ფასი აქვს, ვინც მეტს გადაიხდის ის გახდება მფლობელიც, შესაძლოა საპრივატიზაციო ობიექტების ფასი რეალურთან შედარებით ცოტა დაბალი იყოს უფრო მეტი ინვესტორის მოზიდვისა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით. მთავარია, ინვესტორი დავარწმუნოთ, რომ აქ ფულის დაბანდებით მომავალში დიდ მოგებას ნახავს”, ამბობდა კახა ბენდუქიძე. (გულარიძე, 2004)

ამ პერიოდში საპრივატიზაციოდ გამოტანეს სტრატეგიული რესურსები, მათ შორის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლება. ამ პროცესში კერძო პირთა ინტერესები უშუალოდ დაუპირისპირდა საჯარო ინტერესებს, თუმცა, რევოლუციურ

ხელისუფლებას ბევრი არ უფიქრია დაპირისპირებულ მხარეთა შორის ვის მიენიჭებოდა უპირატესობა. რესურსების გადაცემა უკანონო გარიგებებით, ოფშორებში რეგისტრირებულ საწარმოებს ამოფარებულ სამთავრობო ჯგუფებსა და კონკრეტულ ავტორიტეტებზე საზოგადოების ჩართულობისა და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინების გარეშე წარიმართა. (ცინცაბაძე, 2016)

საინტერესოა, რომ ქვეყნისთვის ისეთ მნიშვნელოვან პროცესზე, როგორიც ასეთი მასშტაბური პრივატიზაციაა, არასამთავრობო ორგანიზაციების გამოხმაურებები პრაქტიკულად არ იძებნება. საინტერესოა, რომ ორგანიზაციები, რომლებიც თუნდაც კორუფციაზე მუშაობენ, არ დაინტერესდნენ იმით, თუ როგორ მიმდინარეობდა პრივატიზაციის პროცესი, რამდენად გამჭვირვალე იყო იგი და ვინ ყიდულობდა მოცემულ ობიექტებს.

ჯერ კიდევ 2011 წელს საქართველოში G-PAC-ის პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე თამარ ქაროსანიძე: ”ის საკითხები, რაც ხალხისთვის პრიორიტეტულია, ხშირად არასამთავრობოების საქმიანობაში საერთოდ არ არის ასახული. ხალხს აინტერესებს, როგორ უნდა გადაიჭრას დასაქმების პრობლემა; მათთვის პრობლემაა მზარდი ფასები პროდუქტებზე, მაღალი გადასახადები, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები, რაზეც არასამთავრობო სექტორი სათანადოდ არ მუშაობს.” (ქევანიშვილი, 2011)

ეკოლოგიური მდგომარეობა

2003-დან 2012 წლამდე საქართველოს ინდუსტრიულ ზონებში შრომითი და ეკონომიკური პრობლემების პარალელურად, არანაკლები სიმწვავით იდგა ეკოლოგიური პრობლემაც. ინდუსტრიული ცენტრების (ზესტაფონი, ტყიბული, ჭიათურა) და შემოგარენში არსებული სოფლების მოსახლეობა მუდმივად საუბრობდა გამოწვევებზე, რაც მათ დასახლებულ პუნქტებში იდგა ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების, საყოფაცხოვრებო სავარგულების გამოუსადეგრად გადაქცევის თუ ადგილზე მოწეული პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებით, რაც იზრდებოდა

მასობრივი პრივატიზაციისა და სხვადასხვა სამსახურის გაუქმების ფონზე. (ცინცაბაძე, 2016)

გარემოზე უკონტროლო ზემოქმედებამ და რესურსების დატაცებით მოპოვებამ უზრუნველყო ნიადაგში, წყალსა და ჰაერში, შესაბამისად საკვებში ქიმიური ნივთიერებების გაჟონვა. გაიზარდა სიმსივნური და სხვა მძიმე დაავადებების წილი, რომელთა შესახებ საფუძვლიანი კვლევები სახელმწიფოს დღემდე არ ჩაუტარებია. მიუხედავად წიაღისეული სიმდიდრისა, უკიდურესად გაღარიბდა ინდუსტრიული რეგიონები, გარემოს დაბინძურების ხარისხის გათვალისწინებით, შეუძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის წარმოება. საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში აისახა გარემოზე მიყენებული ზიანისა და შრომითი უფლებების კუთხით არსებული მძიმე დარღვევები და სახელმწიფოს განესაზღვრა მათზე რეაგირების ვალდებულება. (ცინცაბაძე, 2016)

ამის ფონზე კი, არასამთავრობო ორგანიზაციები კვლავს დუმდნენ, ისინი არ საუბრობდნენ მასობრივ პრივატიზაციასა და მის შედეგებზე, დაბინძურებულ გარემოზე, რაც ეკონომიკური ლიბერალიზაციის შედეგი იყო. ისინი, როგორც წესი, შერჩევითად იღებდნენ საერთაშორისო რეკომენდაციებს და უფრო პოლიტიკურ და კულტურულ საკითხებზე კონცენტრირდებოდნენ, შესაბამისად, თითქმის ყველა (რამდენიმეს გამოკლებით) არასამთავრობო ორგანიზაციის ფოკუსი 2003 წლიდან 2012 წლამდე ზუსტად იმეორებდა ხელისუფლების ნეოლიბერალიზაციის პოლიტიკას.

დევნილები

ვარდების რევოლუციის შემდგომ, ეტაპობრივად დაიწყო დევნილების გამოსახლება სხვადასხვა ობიექტიდან. ხშირ შემთხვევაში, გამოსახლებულებს სახელმწიფო არ ალტენატივას, ან ალტერნატივა არ იყო დამაკმაყოფილები, რის გამოც, აუცილებელი იყო პოლიციური ძალის გამოყენება გამოსახლების დროს. გამოსახლების პროცესს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები აკვირდებოდნენ, მათ შორის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2010 წელს, იურისტი ეკა ფოფხაძე (ახალგაზრდა იურისტთა

ასოციაცია) ამბობს, რომ დევნილთა გამოსახლების პროცედურებში დარღვევები აღინიშნებოდა. ნებაყოფლობითი გამოსახლებისთვის იძულებით გადაადგილებულ პირებს ხუთდღიანი ვადა უნდა მიეცათ. ფოფხაძის თქმით, დევნილები ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშაც იმყოფებოდნენ, ვინაიდან შენობიდან გამოსვლაზე უარის შემთხვევაში, პოლიცია მათ ნივთების ფანჯრიდან გადაყრით ემუქრებოდა. (Netgazeti.ge, 2010)

პროცესს აკვირდებოდა „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო“ რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას პროცედურებზე ამახვილებდა. „იმისათვის რომ უფრო ნათელი გამხდარიყო მიმდინარე პროცესის დეტალები, გამოსახლებიდან რამდენიმე დღით ადრე “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს” წარმომადგენლებმა მოინახულეს უზნაძის ქ. #8–ში მდებარე ობიექტი. პირველი, რაც შენობაში შესვლისთანავე იქცევდა ყურადღებას, იყო შენობის კედელზე სავარაუდოდ 10 დღით ადრე განთავსებული შეტყობინება მოსალოდნელი გამოსახლების შესახებ. აღნიშნული შეტყობინება ჩვენს მიერ წინა სტატიაში აღწერილ შეტყობინებაზე მომცრო იყო ზომით. იგი ჩვეულებისამებრ, შეიცავდა ინფორმაციას იმ 10 დღიანი ვადის შესახებ, რაც დევნილებს ეძლეოდათ შენობის დასაცლელად. ასევე შეთავაზებული იყო დახმარება გამოსახლებამდე ალტერნატიული საცხოვრებლების მოსანახულებლად. შეტყობინება ცხელი ხაზის ნომერსაც შეიცავდა, რომელზეც დევნილებს შეეძლოთ დამატებითი ინფორმაციის მიღება. თუმცა, ძველი შეტყობინებისაგან განსახვავებით, ახალი ნიმუში არ იძლეოდა სათანადო განმარტებას დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებსა და დროებით თავშესაფრებს შორის არსებულ განსხვავებაზე, ასევე არ იძლეოდა ინფორმაციას ალტერნატიული საცხოვრებლების ტექნიკურ მახასიათებლებზე, მის ინფრასტრუქტურაზე, სამინისტროსთან საკონსულტაციო შეხვედრებსა თუ ავეჯის ტრანსპორტირებაზე გასაწევი დახმარების შესახებ. გარდა ამისა, ისევე როგორც წინა შემთხვევებში, გამოსახლების ახალი შეტყობინება არ იყო ხელმოწერილი და დათარიღებული. შედეგად ჩვენ ვერ გავარკვიეთ ზუსტად როდის მიიღეს იგი დევნილებმა.'' (Transparancy.ge, 2011)

დევნილების ნაწილს შესთავაზეს თბილისიდან რეგიონში გადასვლა, თუმცა ეს მათი დიდი ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, ვინაიდან მათ აქ ჰქონდათ სამუშაო, შვილები დაჰყავდათ სკოლაში თუ ბაღში და ა.შ.
" სრულიად გაუფრთხილებლად დილის 6 საათზე კარებზე დაგვიკაკუნეს და გვითხრეს, ეგრევე 2 საათში ბინა დატოვეთ და გადითო. სად მივდივართო, რო ვეკითხებოდით, გვპასუხობდნენ, არ ვიცით, სადაც გინდათ, იქ წადითო",- ამბობდა აფხაზეთიდან დევნილი იზა გვაჯაია. (ხარაძე, 2011)

დევნილთა განსახლების პროცესი ადამიანის ტრაგიკული დაღუპვის მიზეზიც გახდა. 27 ოქტომბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შენობის წინ თავის დაწვა სცადა აფხაზეთიდან დევნილმა ნანა ფიფიამ, რომელიც 18 ნოემბრის ღამეს დამწვრობის ცენტრში გარდაიცვალა.
" გადაისხა ბენზინი, იმიტომ რომ შეურაცხყოფა მიაყენეს სამინისტროში. ამას უკითხავს, ფოცხოში ბალახის მეტი არაფერია და რა ვჭამოთო. იქ უთქვამთ, ხოდა, ბალახი ძოვეთო... ხოდა, რომ ჩამოვიდა, აქვე ახლოს "გარაჟებია", იქ ნახა ადგილი და გადაისხა ბენზინი. ჩვენ მივუსწარით, მაგრამ ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო და გადაიყვანეს დამწვრობის ცენტრში." ყვება თვითმხილველი.
დევნილთა განსახლებას გამოეხმაურა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. „" იქ მცხოვრებ ხალხს ელემენტარული საცხოვრებელი პირობებიც არა აქვთ, რომ იქაურობას თუნდაც მოუარონ. ისინი მხოლოდ დევნილთა ყოველთვიურ მიზერულ დახმარებას იღებენ - მინიმალურ სამედიცინო მომსახურებას, განათლებაზე საუბარიც არ არის. ინტეგრაცია არ ნიშნავს მათთვის მხოლოდ თავშესაფრის მიცემას - თბილისიდან რეგიონებში ახლახან განსახლებულ ხალხს ვგულისხმობ. მათ შემოსავალი სჭირდებათ. ამის გარეშე მესამედ დევნილები გახდებიან. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ. ვფიქრობ, ჩარჩოს ფარგლებში ჩვენ უნდა მივიღოთ დოკუმენტი, რომელსაც საქართველოს რეალობას მოვარგებთ. სამოქმედო გეგმას კი არ უნდა დავამატოთ რამე, არამედ აქცენტები შევცვალოთ." (ხარაძე, 2011)

მიუხედავად პრობლემის მაშტაბურობისა, აქციებმა, რომელიც მოყვა ამ პროცესს, ვერ შეიძინა ფართო მხარდამჭერები. მათ შორის, პრაქტიკულად არ იყო არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მცირე ორგანიზაციას, როგორიცაა მაგალითად „არა“. ორგანიზაციების დიდი ნაწილი მხოლოდ პროცედურულ საკითხებზე დაკვირვებით შემოიფარგლებოდა.

დასკვნა

შესაბამისად, 2003 წლიდან 2012 წლამდე არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილის როლი საკმაოდ მაღალი იყო ნეოლიბერალიზაციის პროცესში. ეს კარგად ჩანდა მათ მიერ დაფინანსებულ პროექტებში, სადაც თითქმის არასდროს ხდებოდა სოციალურ თემატიკის პრიორიტეტად გამოყოფა, ან მისი დაფინანსება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ჩვენ თითქმის ვერ ვხვდებით ისეთ საკითხებზე გაცხადებებს, როგორიცაა მასობრივი პრივატიზაცია, გარემოს დაბინძურება, შრომის კოდექსი და ა.შ.

შესაბამისად, აქედან შეგვიძლია დასკვნა გავაკეთოთ, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორობის საკითხების მხოლოდ კულტურულ პრობლემად წარმოჩენა, რომელსაც სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგითა და სადამსჯელო ღონისძიებით უნდა ებრძოლო, ხოლო ეკონომიკურ გაძლიერებაში, ისევ და ისევ, ნეოლიბერალურ ექპლუატაციურ მოდელში ინტეგრირების მოაზრება, საშუალებას აძლევს საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებს და ელიტებს, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უთანასწორობის მაწარმოებელი მატერიალური გარემოებები გააბუნდოვნონ და ამგვარად, გადაფარონ მათი წილი ბრალეულობა, რომელიც მათ ამ გარემოებების კულტივირებაში მიუძღვით (როი, 2015). ამ პროცესში კი, მისი დღის წერიგიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა სამოქალაქო საზოგადოებას.

როის (2015) აზრით, ეს აქტორები პროგრესულ ძალებად წარმოაჩენენ თავს, რომელთაც თითქოს მათი მონაწილეობის გარეშე წარმოებული პრობლემების კულტურულ ველში გადაჭრა სურთ. ნეოლიბერალიზმი არის არა მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკა,

რომელსაც „განუზრახველი“ და მისგან დამოუკიდებელი სოციალური და პოლიტიკური შედეგები აქვს, არამედ მისი გავლენა სცდება ბაზრის ფარგლებს, მისი სოციალურ-პოლიტიკური შედეგები წინასწარგანზრახულია და ის აწარმოებს ახალ სუბიექტურობასა და სურვილებს (Brown, 2005); გ) ეკონომიკურად ისეთ განვითარებად საზოგადოებაში, როგორიც საქართველოა „პრობლემა მხოლოდ რესურსების თანაბრად გადანაწილება კი არ არის, არამედ მათი შექმნა და კონტროლიც; არა მხოლოდ კაცებისა და ქალებისთვის თანაბარი შესაძლებლობები, არამედ თავად ამ შესაძლებლობების შექმნაა (ჯონსონ-ოდიმი, 1991).“

ნეოლიბერალიზმი, რომელიც 90-იან წლებში ნელი ტემპით და 2000-იანებში ეკონომიკური რევოლუციის დაჩქარებით დამკვიდრდა საქართველოში, სუბიექტურობისა და სოციალური ურთიერთობების გარდაქმნისკენ ისწრაფვის (ჯონსი, 2013). სოციალური ქსოვილის რღვევის შედეგად, საზოგადოება იშლება ატომიზირებულ ინდივიდებად. ამასთან ერთად, სოციალური დაცვის მექანიზმების რღვევა და სოლიდარობის დეფიციტი მოქალაქეებს აქცევს ინდივიდუალურ გადარჩენაზე და სარგებლის მიღებაზე ორიენტირებულ ადამიანებად. ნეოლიბერალიზმი იზოლაციისა და პრივატიზაციის მეშვეობით, მოქალაქეების ერთმანეთისგან გათიშვით და გაფანტვით მუშაობს (Read, 2009). ნეოლიბერალიზმის ცენტრალურ ტერმინად და პოლიტიკურ სტრატეგიად დერეგულაცია იქცა, თუმცა ეს მართვისა და რეგულირების არარსებობას სულაც არ ნიშნავს, ეს არის მართვის ფორმა იზოლირების მეშვეობით (Read, 2009, Foucault, 1997). აქედან გამომდინარე, არასამთავრობოები, რომლებიც ნებსით, თუ უნებლიეთ მოცემულ საკითხებზე არ/ვერ საუბრობდნენ ნეოლიბერალიზაციური პოლიტიკის ჰეგემონიზაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთაძე, ც. (2006). შრომის სტანდარტები და მათი შესაბამისობა ,,ევროპის სოციალური ქარტიისა" და საქართველოს მიერ რატიფიცირებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების მოთხოვნებთან. მოძიებულია 23.05.2018 http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-0l--11-en-10---10-ru-50--00-3-about-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL1.24.1&d=HASHc562e01b3cc5fe4d163605.4.5&gt=1
2. ახალგაზრდა იურისთა ასოციაცია.ახალი "შრომის კანონი" - არსებული რეალობის მოწესრიგების მცდელობა. https://gyla.ge/ge/post/print/akhali-shromis-kanoni-arsebuli-realobis-motsesrigebis-mcdeloba-88
3. ბარქაია, მ. (2018). პროგრესული ნეოლიბერალიზმი და ულტრამემარჯვენე პოლიტიკა: რატომ უნდა ვეძებოთ ემანსიპაციის და სამართლიანობის სხვა გზა?!. მოძიებულია 12.06.2018. https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90_%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90_1525779297.pdf
4. გულარიძე, თ. (2004). "დიდი" პრივატიზაცია სტარტს იღებს. მოძიებულია 23.06.2018. https://old.civil.ge/geo/article.php?id=7221
5. მონბიო, ჯ. (2016) ნეოლიბერალიზმი - იდეოლოგია, რომელიც ჩვენი პრობლემის საფუძველია. "გარდიანი". https://www.theguardian.com/books/2016/apr/15/neoliberalism-ideology-problem-george-monbiot
6. მჭედლიშვილი, ნ. (2010). საპროტესტო აქცია, პოლიციასთან დაპირისპირება და დაკავებული აქტივისტები. მოძიებულია 20.06.2018. https://www.radiotavisupleba.ge/a/2132168.html
7. ფრეიზერი, ნ. (2017). ფემინიზმის თავგადასავალი. სახელმწიფოს მიერ მართული კაპიტალიზმიდან ნეოლიბერალურ კრიზისამდე. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი.

8. ქევანიშვილი, ე. (2011). რატომ არ ენდობა ხალხი არასამთავრობო ორგანიზაციებს?. https://www.radiotavisupleba.ge/a/24408870.html
9. შეხვედრა თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებთან. https://www.youtube.com/watch?v=hxCPE9UXC_0&t=276s მოძიებულია 21.11.2017
10. ცინცაბაძე, ა. (2018). ნეოლიბერალური პოლიტიკის გავლენა შრომით უფლებებზე საქართველოში. მოძიებულია 20.06.2016. https://ge.boell.org/ka/2016/04/27/neoliberaluri-politikis-gavlena-shromit-uplebebze-sakartveloshi.
11. ჯონსი, ს. (2013). საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი;
12. ხარაძე, ნ. (2011). დევნილების გამოსახლება-განსახლების წელი. https://www.radiotavisupleba.ge/a/2265602.html
13. ჰარინგტონი, ქ. (2013). Governmentality და ქალთა ტრანსნაციონალური მოძრაობების ძალაუფლება. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2016.
14. ჰეივუდი, ე. (2005). პოლიტიკური იდეოლოგიები : შესავალი კურსი. მთარგმნელები: თამარ ბაკურაძე... (და სხვ.); რედაქტორები: ლაშა ბერაია ; ზეინაბ სარაძე.
15. ჰარვი, დ. (2017). ნელიბერალური სახელმწიფო, თბილისი, გამოცემულია ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით;
16. ჰარინგტონი, ქ. (2013). Governmentality და ქალთა ტრანსნაციონალური მოძრაობების ძალაუფლება. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2016;
17. Brown. W. (2005) “Neoliberalism and the End of Liberal Democracy,” in Edgework: Critical Essays on Knowledge and Politics. Princeton, NJ: Princeton University. 43;
18. Donnelly, J. (2007). The relative universality of human rights. Human rights quarterly;
19. Foucault, M. (1991). Discipline and Punish: the birth of a prison. London, Penguin;
20. Foucault, M. 1997. Society Must Be Defended. London:Penguin books;

21. Fraser, N. (2017). The End of Progressive Neoliberalism. Dissent Magazine; https://www.dissentmagazine.org/online_articles/progressive-neoliberalism-reactionary-populism-nancy-fraser
22. Johnson-Odim, C. (1991). Common Themes, Different Contexts: Third World Women and Feminism. In C. Mohanty (Ed.), Third World Women and the Politics of Feminism (pp. 314-327). Indiana University Press;
23. Mutua, M. W. (2001). Savages, victims, and saviors: the metaphor of human rights. Chicago;
24. Netgazeti.ge. (2010). ძველი და ახალი დევნილები მორიგ საპროტესტო აქციაზე. http://netgazeti.ge/life/6934/
25. Petras, J. (1999). NGOs: In the Service of Imperialism. Journal of Contemporary Asia. Volume: 29;
26. Read.J. (2009). A Genealogy of Homo-Economicus: Neoliberalism and the Production of Subjectivity. Foucault Studies, No 6, pp. 25-36;
27. Roy, R. (2015). Global Homocapitalism. Radical Philosophy. 194, 38-49;
28. Transparency.ge. (2011). დევნილთა გამოსახლება გრძელდება. https://www.transparency.ge/ge/blog/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90